სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური 2023 წელს მუშაობას ეწეოდა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

2023 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ქალაქად და სოფლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობა: ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე გზის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით 1575 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ.მეორე ნოსირის საკირცხალიო-საკერძაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 3854 გრძ.მ-ზე, ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია 214 გრძ.მ-ზე, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 3660 გრძ.მ-ზე, ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 1116 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმ.ერთეულის სოფ.საგაბესკირიოს გზის ბეტონის საფარის მოწყობა 720 გრძ.მ-ზე, სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4500 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა-ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით 2008 გრძ.მ-ზე, ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში, საბესელიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 2446 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა 1457 გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 1259 გრძ.მ-ზე, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 1348 გრძ.მ-ზე, ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 3079 გრძ.მ-ზე, გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია 1907 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილხიდების მოწყობა 2044 გრძ.მ-ზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია 2376 გრძ.მ-ზე. ჯამში 33563 გრძ.მეტრე. საერთო ღირებულებით 10 385 547 (ათი მილიონ სამასოთხმოცდახუთი ათას ხუთასორმოცდაშვიდი) ლარი.

ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა მშვიდობის ქ. #56 და #58 სახლებს შორის არსებული ღელეს ჯებირების

რეაბილიტაცია და სილოვან შამათავას ქუჩის ბოლოში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - საერთო ღირებულებით 560 405 (ხუთას სამოცი ათას ოთხას ხუთი) ლარი.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა განხორციელდა: ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საოდიშარიოს უბანში 1186 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საარჩაიო-ზედა სორტის დამაკავშირებელი გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით 1150 გრძ.მ-ზე, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 172 გრძ.მ-ზე, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 300 გრძ.მ-ზე, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბარკალაიოში გზის რეაბილიტაცია 1310 გრძ.მ-ზე, ქალაქ სენსაკში, ალ.არჩაიას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია 178 გრძ.მ-ზე, შონიას ქუჩის რეაბილიტაცია 283 გრძ.მ-ზე. ჯამში 4579 გრძ.მეტრზე. საერთო ღირებულებით 1 232 160 (მილიონ ორასოცდათორმეტი ათას ასსამოცი) ლარი.

ასევე ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგიეს გზაზე მოეწყო დამცავი ბარიერი და განხორციელდა ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთების სამუშაოები - საერთო ღირებულებით 126 428 (ასოცდაექვსი ათას ოთხასოცდარვა) ლარი.

განახლდა მშვიდობის ქუჩა N214-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადი და ჩატარდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე კეთილმოეწყო სტალინის ქუჩაზე ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზო და რუსთაველის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები: N166, N231, N239, N170, N245, N247, N251, N182 და წმინდა ნინოს N11, N12 კორპუსებზე ახალი წყალსადინარი სისტემის მონტაჟი, რეაბილიტირდა N2 ბაგა-ბაღისა და საკრებულოს შენობის სახურავები - საერთო ღირებულებით 499 189 (ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ასოთხმოცდათერთმეტი) ლარი.

განხორციელდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები - ღირებულებით 279 978 (ორას სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასსამოცდათვრამეტი) ლარი, მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები - ღირებულებით 154 456 (ასორმოცდათოთხმეტი ათას ოთხას ორმოცდათექვსმეტი) ლარი და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები - ღირებულებით 87 099 (ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხმოდაცხრამეტი) ლარი.

დიდი ყურადღება დაეთმო სანიაღვრე სისტემისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციას, კერძოდ: განცხორციელდა სილოვან შამათავას ქუჩის ბოლოში სანიაღვრე არხზე არსებული ჯებირის რეაბილიტაცია, მშვიდობის ქუჩაზე ნატოჩაოს უბანში კიუვეტისა და ღელეს ჯებირების რეაბილიტაცია, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში ხიდბოგირის მოწყობა, ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ისულაში სანიაღვრე არხის მოწყობა, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კოტიანეთში ჩაქცეული ხიდ-ბოგირის აღდგენა, თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ნოქალაქევის

ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღში ჭაბურღილის მოწყობა, ცერცვაძის ქუჩის მეორე ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა რკინა-ბეტონით, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დამცავი ჯებირების მოწყობა (IIეტაპი), ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დამცავი ჯებირების მოწყობის (III ეტაპი) სამუშაოები - საერთო ღირებულებით 505 736 (ხუთას ხუთი ათას შვიდასოცდათექვსმეტი) ლარი.

განახლდა ჭყონდიდელის ქუჩაზე არსებული ბანერი და რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭავჭავაძის ქუჩაზე ილია ჭავჭავაძის სტენდს - საერთო ღირებულებით 30 898 (ოცდაათი ათას რვაასოთხმცდათვრამეტი) ლარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე არსებულ მოსაცდელს - ღირებულებით 30 175 (ოცდაათი ათას ასსამოცდათხუთმეტი) ლარი და ზემო ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო ახალი მოსაცდელი - ღირებულებით 7295 (შვიდი ათას ორასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

გარკვეული სახის სამუშაოები განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. წლეულს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით მოეწყო ყოფილი მე-8 სკოლის მიმდებარედ მინი სპორტული მოედანი - ღირებულებით 109 882 (ასცხრა ათას რვაასოთხმოცდაორი) ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ვაჩნაძის ქუჩის დასაწყისში და მშვიდობის ქუჩაზე #4 ბაგა-ბაღის მიმდებარედ მოეწყო მინი სპორტული მოედნები - საერთო ღირებულებით 215 795 (ორას თხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, ხოლო ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ დამონტაჟდა ტრენაჟორები - ღირებულებით 44 440 (ორმოცდაოთხი ათას ოთხასორმოცი) ლარი.

2023 წელს ხელშეკრულება გაფორმდა ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებზე - ღირებულებით 497 777 (ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ, ყოფილი კინო-თეატრ ,,რუსთაველი''-ს წინ მდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერის სარეაბილიოტაციო სამუშაოებზე - ღირებულებით 414 444 (ოთხას თოთხმეტი ათას ოთხასოთხმოცდაოთხი) ლარი, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე რიონზე გადასასვლელი ბორნის მოწყობის სამუშაოებზე - ღირებულებით 371 100 (სამას სამოცდათერთმეტი ათას ასი) ლარი და ილია ჭავჭავაძის ქუჩა N 37-ში ბინაში ასასვლელად და ჩამოსასვლელად მარტივი ტიპის ლიფტის მოწყობაზე - ღირებულებით 49 297 (ორმოცდაცხრა ათას ორასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში შესრულდა ცენტრალურ სკვერებში ინტერნეტის ქსელის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 43 190 (ორმოცდასამი ათას ასოთხმოცდაათი) ლარი და ჭავჭავაძის ქ.N37-ის მიმდებარედ დასასვენებელი და საბავშვო ატრაქციონის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 43 500 (ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოები განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ კუთხით დაიხარჯა 759 200 (შვიდას ორმოცდაცხრამეტი ათას ორასი) ლარი. რეაბილიტირდა გზები, ხიდ-ბოგირები, მოეწყო გარე-განათების სისტემა, სკვერები, ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ კორპუსებს: სრულად გადაიხურა (14 კორპუსი) სამხედრო დასახლება N205-ში, სამხედრო დასახლება N190-ში, სამხედრო დასახლება N188-ში, სამხედრო დასახლება N202-ში, შალვა დადიანის N4-ში, აკაკი ელიავას N21-ში, ღვინჯილიას ქუჩა N5-ში, ურიდიას ქუჩა N26-ში, ცაგარელის ქ.N27-ში, ცაგარელის ქ.N25-ში, ჭყონდიდელის ქ. N4-ში, შოთა რუსთაველის ქ.N170-ში, სენაკის მუნიციპალიტეტის ძვ. სენაკის ადმინისტრაციული ერთეულსა და მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარბედიოში არსებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორპუსები - საერთო ღირებულებით 1 155 489 (მილიონ ასორმოცდათხუთმეტი ათას ოთხასოთხმოცდაცხრა) ლარი.

რეაბილიტირებულ იქნა ზურაბ ნაფეტვარიძის ქ.N1-ში, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტყირში, რუსთაველის ქ. N126-ში, სტალინის ქ. N52-ში, ქიაჩელის ქ. N47-ში, ვაჩნაძის ქ. N3-ში და მშვიდობის ქ.N319-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები - საერთო ღირებულებით 83 813 (ოთხმოცდასამი ათას რვაასცამეტი) ლარი.

სახურავის რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახალსოფლის, ნოსირის, მენჯის, გეჯეთის, ადმინისტრაციულ შენობებს, თეკლათის, ზანის, ძველი სენაკის საბავშვო ბაღებს, მეორე ნოსირის კლუბსა და გეჯეთის ამბულატორიის შენობას - საერთო ღირებულებით 26 692 (ოცდაექვსი ათას ექვსასოთხმოცდათორმეტი) ლარი.

სრულად რეაბილიტირდა მე-6 საბავშვო ბაღისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციული შენობის სახურავები - საერთო ღირებულებით 160 628 (ასსამოცი ათას ექვსასოცდარვა) ლარი.

ასევე განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზიანებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია - ღირებულებით 100 000 (ასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის N115 განკარგულებით გამოყოფილი 208 000 ლარიდან სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზარალებულ 460 ბენეფიციარს გამოეყო საკომპენსაციო თანხები.

2023 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 22 ივნისს მოსული ძლიერი კოკისპირული წვიმების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციოდ გამოიყო 3 100 000 (სამი მილიონ ასი ათასი) ლარი. განხორციელდა სანიაღვრე არხების რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა - რეკონსტრუქციის, ხიდების, ხიდ-ბოგირების, გაბიონების მოწყობის სამუშაოები.

2023 წლის 14-15 მაისს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად აღდგენილ იქნა დაზიანებული ინფრასტრუქტურულ ობიექტები, კერძოდ: ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯანჯღავების უბანში ჩაქცეული ხიდ-ბოგირის მოწყობა, ეკის ადმინისტრაციული ერთეულის საჯოლიოს უბანში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია, ალ. არჩაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხზე გაბიონის მოწყობა - საერთო ღირებულებით 112 209 (ასთორმეტი ათას ორას ცხრა) ლარი.

საგანგებოდ შექმნილი კომისიის მიერ შესწავლილ იქნა 2023 წლის 11-17 ივლისს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის, ნაპირდამცავი დამბების და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობა. რეაბილიტაციას დაექვემდებარა 45 ინფრასტრუქტურული ობიექტი - საერთო ღირებულებით 2220000 (ორი მილიონ ორასოცი ათასი) ლარი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის შედგენის პროცედურები. პარალელურ რეჟიმში შესწავლილ იქნა დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მდგომარეობა, 337 ოჯახზე შედგა შესაბამისი დეფექტური აქტები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობას. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო აკ.ელიავას ქუჩაზე N3 საბავშვო ბაღის მშენებლობა. ასევე ლეძაძამეს, ძველი სენაკისა და ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა თბილისი-სენაკი-ლესელიძეს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 286-290 კმ-ზე რეაბილიტაცია, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 76-86კმ-ზე მონაკვეთის რეაბილიტაცია, სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 15-20კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია, ნოქალევი-ლეძაძამე-დიდი ჭყონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის კმ2 და კმ11-ის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია.

დასრულდა საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროცედურები სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კმ0-კმ4 გზის რეაბილიტაციაზე.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მდინარეების სანაპირო ზოლის დაზიანებული და საშიში მონაკვეთების გამოვლენა და სათანადო უწყებების წინაშე წარდგენა. შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის, საგვიჩიოს უბანში მდ.რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისულაში მდ.რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ტყირში მდ. რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მეწყერისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე შემუშავებულ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში კატეგორიის მისანიჭებლად, ხოლო 65 ბენეფიციარს მეწყერული პროცესების გააქტიურებისა და საცხოვრებელი სახლების დაზიანების კატეგორიის დადგენის მიზნით გაეწია შუამდგომლობა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

მერიის ჩართულობით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ განახორციელა მუნიციპალიტეტის სოფლების- მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: საოდიშარიოს, საკილასონიოს, საბესელიოს და საბოხუოს, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის საგადელიოს უბნის და კურორტ მენჯის წყალმომარაგების საპროექტო სამუშაოები.

ასევე მნიშვნელოვნად გაფართოვდა მუნიციპალიტეტის გაზმომარაგების ქსელი, დასრულდა ზემო ჭალადიდის სოფლების ხორგიში-მუხურის, საგვიჩიო-სირიაჩქონის, ეკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: საცხვიტაოს, საადამიოს, სოფ.ეკის, შრომისკარის, სოფელ საგუნიოს, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: გოლასკურისა და რეკას გაზის მილების სამონტაჟო სამუშაოები. გაზის მაგისტრალის შპს „გასკო+“ -ზე გადაცემის შემდეგ დაიწყება ოჯახების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების გამრიცხველიანება. ამით გაზი მიწოდებულ იქნება ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ოჯახებზე, სკოლებზე, საბავშვო ბაღებსა და ადმინისტრაციულ შენობებზე.

დასრულდა ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ფოცხო, ლეგოგიე-ნასაჯუ, მოხაში, მეორე მოხაშისა და ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: შუა ხორში, დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო, ციზეთის საპროექტო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ბათარია, პერტული, საგაბესკირიო, საწულეისკირიო, სახერბედიო, სკურიასა და ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ლეძაძამე, ბეთლემი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესაჯაიე, ჯოლევში დასრულდა დაერთების პროცედურები.

მთავრობის განკარგულებით სენაკის მუნიციპალიტეტის ზანისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში: ზანა, ეწერი, სატყებუჩაო, საესებუო, საშურღაიო, უშაფათი, ლეგოგინე და ლეკოკაიეში განხორციელდება გაზიფიცირების სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები, რითაც მთლიანად დასრულდება სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და ქალაქ სენაკის გაზიფიცირების სამუშაოები.

2023 წელს სამსახურმა მშენებლობის ნებართვა გასცა 53 ფიზიკურ და 8 იურიდიულ პირს. ადგილობრივ ბიუჯეტში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შეტანილ

იქნა 30 979 ლარი. გაცემული ნებართვებიდან 44 ფიზიკურ პირზე გაცემულ იქნა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ყოველკვარტალურად ინფორმაცია მიეწოდება სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციას გაცემული ნებართვებისა და ექსპლოატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობების შესახებ წარმოდგენილი ფორმის მიხედვით, ასევე ყოველკვარტალურად ინფორმირდება საქსტატის ეროვნული სამსახური გაცემული ნებართვების შესახებ. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ ნებართვები გაცემულ იქნა კერძო და იურიდიულ პირებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გზების მიმდებარედ ასაშენებელ შენობა-ნაგებობზე. მიმდინარე წელს დეპარტამენტთან შეთანხმდა 10 ობიექტი. უნებართვოდ და უპროექტოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე შენობა-ნაგებობებზე ლეგალიზების ნებართვა გაიცა 35 ფიზიკურ პირზე.